ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულო

# განკარგულება № 224

„20“ მაისი 2025 წ

ქ. თბილისი

## ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ზიგზაგის ჩიხისთვის და ზიგზაგის II ქუჩისთვის ზიგზაგის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, ზიგზაგის ჩიხის მონაკვეთს და ზიგზაგის II ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ზიგზაგის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ნაძალადევის რაიონში, ზიგზაგის II ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ზიგზაგის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
3. ნაძალადევის რაიონში, ზიგზაგის ჩიხის მონაკვეთს მიენიჭოს ზიგზაგის II ჩიხის სახელი.
4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


I ჩიხი
X=482720 Y=4622940
X=482798 Y=4622913
X=482844 Y=4622938
ზიგზაგის ქ.
II ჩიხი
X=482805 Y=4622859
ზიგზაგის ქ.
X=482993 Y=4622828